საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/72

ქ. ბათუმი 18 ---- აგვისტო, 2021 წ.

ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათების (N324611, 05.04.2021 წ; N633711, 28.06.2021 წ; N758285, 30.07.2021წ.) და ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის 2020 წლის 04 აგვისტოს N770317 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია და სტაჟიორად მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს შესაბამის სტრუქტურული ერთეულში დასაქმებისათვის საჭირო განათლება (არის ბსუ-ს საბაკალავრო პროგრამის მე-3 ან მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი ან კურსდამთავრებული ან ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი), კერძოდ:
   ა) იურიდიულ დეპარტამენტში - ,სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის ან ,,სამართლის' სამაგისტრო პროგრამის;
   ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში - საინჟინრო ტექნოლოგიების ან კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტი/კურსდამთავრებული (კონკურსანტს უნდა შეეძლოს კომპიუტერული ტექნიკის (პერსონალური კომპიუტერები, პრინტერები, სკანერები, wi-fi აპარატები) და პროგრამული უზრუნველყოფის (ოპერაციული სისტემა windows, საოფისე პროგრამები) მართვა);
3. კონკურსანტმა **2021 წლის 19 აგვისტოდან 2021 წლის 27 აგვისტოს** ჩათვლით (16:00 სთ-მდე), ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარიის) ელექტრონული ფოსტის - chancelery@bsu.edu.ge მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:
   ა) განცხადება (თანდართული ფორმის - **დანართი 1** შესაბამისად შევსებული);
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) CV;

დ) სასწავლო ბარათი ბსუ-ს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემიდან (ან ბსუ-ს დიპლომის/დანართის ასლი ან ცნობა კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ - კურსდამთავრებულის შემთხვევაში).

ე) ცნობა სოციალურად დაუცველთა ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);

4. სტაჟიორთა შერჩევისას გაითვალისწინება: ინგლისური ენის ცოდნა; საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; სტუდენტის/კურსდამთავრებულის აკადემიური მოსწრება და მოტივაცია. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება სოციალური დახმარების მიმღები ოჯახის წევრ კონკურსანტს.
5. თითოეული სტრუქტურისათვის უნდა შეირჩეს არაუმეტეს 4 სტაჟიორი, რომლებიც შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში არაუმეტეს 2 თვის განმავლობაში გაივლიან სტაჟირებას შემდეგი განრიგით:

   ა) პირველ ცვლაში: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9^{00}სთ - 13^{00}სთ-ებში;

   ბ) მეორე ცვლაში: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 14^{00}სთ - 18^{00}სთ-ებში.
6. სტაჟიორმა უნდა შეასრულოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებითა და პერსონალის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები.
7. სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათში აღნიშნულ წარმატებულ სტაჟიორებზე გაიცემა სერტიფიკატები და შესაძლებელია დასაქმდნენ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში არაუმეტეს 6 თვის ვადით, თვეში არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით შრომის ანაზღაურებით.
8. განცხადება სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
9. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ი. ჩხარტიშვილი**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის

18 --- აგვისტოს N 01-10/72 ბრძანების

დანართი 1

განაცხადი სტაჟირებაზე

1. კონკურსანტის სახელი და გვარი ----------
2. დაბადების თარიღი ----------
3. მოქალაქეობა ----------
4. პირადობის მოწმობის ნომერი ----------
5. საცხოვრებელი ადგილი (მისამართი) ----------
6. ტელეფონი, ელექტრონული
ფოსტა ----------

---

7. მიუთითეთ ის **სტრუქტურულ ერთეული,** რომელშიც გსურთ სტაჟირების გავლა და რომელ ცვლაში? (**პირველ ცვლაში:** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9^{00}სთ - 13^{00}სთ-ებში თუ **მეორე ცვლაში:** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 14^{00}სთ - 18^{00}სთ-ებში.):

---

8. **განათლება** (მიუთითეთ სად და რომელ პროგრამაზე სწავლობთ ან დაასრულეთ სწავლა)

საგანმანათლებლო	სწავლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამა	სწავლების წლები	სტუდენტის	მიღებული აკადემიუ

დაწესებულება				სტატუსი ამჟამად (აქტიური/შეჩერებული/კურს დამთავრებული	რი ხარისხი/ კვალიფიკაცია (დიპლომის მიხედვით)

9. **მიუთითეთ, თუ რომელ უცხო ენას ფლობთ და რა დონეზე** (სუსტად, საშუალოდ, კარგად თუ სრულყოფილად).

უცხო ენა	კითხვა	წერა	მეტყველება

10. **კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:**

---

11. **მიღებული გრანტები და სტიპენდიები:**

გრანტის/სტიპენდიის გამცემი/მასპინძელი ორგანიზაცია/ დაწესებულება	გრანტის/სტიპენდიის პერიოდი (წლები)	სხვა ინფორმაცია

12. **შრომითი გამოცდილება:**

დამსაქმებელი ორგანიზაცია	დაკავებული თანამდებობა/პოზიცია	დამსაქმებელი ორგანიზაციის მისამართი/ვებგვერდი	დასაქმების პერიოდი

13. **კონკურსანტის სამოტივაციო განაცხადი** (უპასუხეთ შემდეგ კითხვებს: რა პროფესიული მიზნები გაქვთ? რა როლს ითამაშებს სტაჟირება აღნიშნული მიზნების მისაღწევად? რატომ აირჩიეთ შესაბამისი სტრუქტურული ერთეული სტაჟირებისათვის? რა წვლილს შეიტანთ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის (უნივერსიტეტის) საქმიანობაში?)

განაცხადის შევსების თარიღი ----------

კონკურსანტის ხელმოწერა ----------